საქართველოს რესპუბლიკა





გიორგი იოსელიანი

2005 წლის 6 სექტემბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოში ქირურგიული სკოლის ერთ-ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კონსტანტინე ერისთავის სახელობის ქირურგიის ეროვნული ცენტრის საპატიო დირექტორი, აკადემიკოსი **გიორგი დავითის ძე იოსელიანი.**

გიორგი იოსელიანი დაიბადა 1917 წლის 30 დეკემბერს ქ.თბილისში, გამოჩენილი ქირურგის, პროფესორ დავით იოსელიანის ოჯახში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე გაიწვიეს ჯარში სამხედრო ექიმად. სამამულო ომის დაწყებისთანავე მოღვაწეობდა დასავლეთის ფრონტზე სამხედრო ჰოსპიტალში.

1943 წელს, დემობილიზაციის შემდეგ, მუშაობას იწყებს თბილისის სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში ქირურგად; 1946-1948 წლებში მუშაობს მოსკოვის ქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1948 წლიდან აგრძელებს მუშაობას სამედიცინო ინსტიტუტის ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის ასისტენტად.

გიორგი იოსელიანი 1949 წელს წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას, ხოლო 1959 წელს – სადოქტორო დისერტაციას ქ.მოსკოვში.

გიორგი იოსელიანმა დიდებული მეცნიერული გზა განაგრძო ინსტიტუტის დამაარსებლისა და ფუძემდებლის, აკადემიკოს გრიგოლ მუხაძისა და აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავის ხელმძღვანელობით.

1950 წლიდან მისი მოღვაწეობა მთლიანად დაკავშირებულია ქირურგიის ინსტიტუტთან, უფროსი მეცნიერი თანამშრომლიდან ინსტიტუტის დირექტორამდე.

გიორგი იოსელიანს 1960 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება, 1967 წელს საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, ხოლო 1975 წელს – საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ხდება.

1984 წელს აირჩიეს სსრკ სამედიცინო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1994 წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

1976 წელს გიორგი იოსელიანმა თავის მოწაფეებთან ერთად საქართველოში პირველად ჩაატარა ოპერაცია დაკონსერვებული თირკმლის გადანერგვა, ასევე მისი ხელმძღვანელობით ინსტიტუტის გულის ქირურგიულ განყოფილებაში პირველად დაიწყეს თანდაყოლილი და შეძენილი მანკების ქირურგიული მკურნალობა.

გიორგი იოსელიანი წლების განმავლობაში იყო საქართველოს ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, ქირურგთა მსოფლიო ასოციაციის ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი. იგი აქტიურად მონაწილეობდა და ღირსებით წარმოადგენდა სამამულო ქირურგიას საერთაშორისო ყრილობებზე, სიმპოზიუმებზე, როგორც უცხოეთში, ასევე ყოფილი სსრკ რესპუბლიკებში. იგი იყო მრავალი ჟურნალ-გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრი და სხვ.

გიორგი იოსელიანი 300-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია, მათ შორის 5 მონოგრაფიის. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შესრულებულია 3 სადოქტორო და 15 საკანდიდატო დისერტაცია.

გიორგი იოსელიანის ღვაწლი სამეცნიერო პრაქტიკულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში აღნიშნულია მთავრობის ჯილდოებით – „შრომის წითელი დროშის“ და „ღირსების ორდენით“, მრავალი მედლით, საპატიო სიგელებით და სხვა ჯილდოებით.

გიორგი იოსელიანის, შესანიშნავი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, გამოჩენილი ქართველი ქირურგის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქირურგთა საზოგადოებისათვის, მოწაფეებისათვის. მისი უკვდავი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება კოლეგებისა და ახლობლების მეხსიერებაში.

მიხეილ სააკაშვილი, ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ნოღაიდელი,
თამაზ გამყრელიძე, ლადო ჭიპაშვილი, გიგი უგულავა, გიგი წერეთელი,
ვახტანგ მეგრელიშვილი, ნიკოლოზ ფრუიძე, ნინო ჯავახიშვილი,
სიმონ ხეჩინაშვილი, თამარ დეკანოსიძე, ნოდარ ყიფშიძე,
ალექსანდრე ბეთანელი, გურათ ტატიშვილ, ბაადურ მოსიძე,
თენგიზ აბულაძე, ანდრო ნადარეიშვილი, ლაური მანაგაძე,
თენგიზ ახმეტელი, ფრიდონ თოდუა, გიორგი გოკიელი, კოტე ყიფიანი,
თემურ ჯორბენაძე, რევაზ გაგუა, ჯანგირ მამალაძე, მერაბ კილაძე,
გია თომაძე, ნოდარ გრიგოლია, თამაზ ჩხიკვაძე, დავით თელია,
გიორგი მენაბდე, გიზო ვასაძე, დავით ფარღალავა, გივი წიწუაშვილი,
მიხეილ ჭელიშვილი